



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 157

2011 წლის 18 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოებისათვის საწვავი ხის მასალის (შეშის) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 14 ნოემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110029041) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებისათვის საწვავი ხის მასალის (შეშის) შესყიდვაზე, რომელსაც 18 ნოემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებისათვის საწვავი ხის მასალის (შეშის) შესყიდვა აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოებისათვის საწვავი ხის მასალის (შეშის) გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარის
დავით ლომიძე

